www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2015 წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები)

13.10.2016

www.geostat.ge

13.10.2016

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2015 წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2015 წლის ბოლოსათვის 50,1 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 4,0 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2015 წლისთვის მთლიანი აქტივებიდან ფინანსური აქტივების მოცულობა 11,1 მილიარდი ლარია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2013-2015 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	2013		2014		2015	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ფინანსური აქტივები სულ	**3855,7**	**100,0**	**5575,3**	**100,0**	**11063,2**	**100.0**
აქედან:						
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	275,8	7,2	286,2	5,1	548,8	5,0
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	23,2	0,6	20,0	0,4	78,2	0,7
ფულადი სახსრები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე, ეროვნული ვალუტით	1442,4	37,4	2210,5	39,7	-	-
ფულადი სახსრები რეზიდენტ კომერციულ ბანკებში არსებულ ანგარიშებზე, უცხოური ვალუტით	792,2	20,5	841,7	15,1	-	-
ფასიანი ქაღალდები	219,2	5,7	571,2	10,2	1860,7	16,8

არაფინანსური კორპორაციების ფასიანი ქაღალდების ღირებულებამ 2015 წლის ბოლოსათვის 1,8 მილიარდი ლარი შეადგინა.

2015 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 1,6 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 47,4.

2015 წლის ბოლოსათვის არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 31,2 მილიარდ ლარს გაუტოლდა (აქედან მოკლევადიანი ვალდებულებებები შეადგენდა 8,1 მილიარდ ლარს).

მთლიანი ვალდებულებებიდან 7,3 მილიარდი ლარი[1] წარმოადგენს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით. მთლიანი ვალიდან არარეზიდენტების მიმართ 2015 წლის ბოლოსათვის არსებულმა ვალმა (საგარეო ვალი) 6,3 მილიარდი ლარი შეადგინა.

ფინანსური წარმოებულების ღირებულება 109,0 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2015 წლის ბოლოსათვის 18,9 მილიარდი ლარი შეადგინა:

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2013-2015 წლებში



არაფინანსური კორპორაციების მიერ 2015 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯები 1,3 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო შემოსავლებმა 3,8 მილიარდი ლარი შეადგინა, რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

[1] კონვერტირებული ლარში (2015 წლის ბოლოსათვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით).



რაც შეეხება ვალის მომსახურებას, 2015 წელს ვალის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 6,0 მილიარდი ლარი შეადგინა, აქედან ვალის მომსახურებამ მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით 827,7 მილიონი ლარი, ვალის მომსახურებამ ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 81,1 მილიონი ლარი, ხოლო ვალის მომსახურებამ სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით - 599,1 მილიონი ლარი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

თინათინ ქსოვრელი, ტელ: 2 36 72 10 (217), E-mail: tksovreli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge